



დავიბას სპორტით ეს

სახელმწიფო

პირველი დიდ ასპარეზობას ახალი სახელების აღმოჩენა „სტრევიკი“-მ მხრივ გამოხატა. არც თბილისის საერთაშორისო ტურნირი, სიდიდით არაერთი ახალგაზრდა მოკრივე გასულა დიდ სარბილზე. ამის მოწმენი შარშანადგომში, როცა „ვერტის ტბისი-88“-ის გამარჯვებულმა, თბილისელმა მძიმე წონის მოკრივემ არმენ ბურდიან-ცმა ამერიკის კონტინენტზე გამართულ მსოფლიო პირველობაზე ჰობუჯა შორის ტოლი არავის დაულო და უძლიერესის სახელი მოიპოვა.

ამ დღეებში სპორტის სახელმწიფო დამსწრე მაყურებელსაც არაერთი ახალი სახელი აქვს დასამახსოვრებელი. მათ შორის, ალბათ, პირველ ყოვლისა იქნება 16 წლის მეტიელი ჯაბუჯი რამაზ ფალიანი, რომელმაც პირველსავე ბრძოლაში მიიქცია გულშემატკივართა და სპეციალისტთა ყურადღება. ამ 48 კგ წონითი კატეგორიის სპორტსმენმა ზედინდელ ოსტატურად სძლია სსრკეშირის ნაკრების წევრებს ლეჩქორანელ ზ. მენტიეს, ლენინგრადელ დ. ენიკეევს და ფინალში გავიდა, სადაც მას საკმაოდ ძლიერი მეტოქე ჰყავდა გდრ-ის წარმომადგენელ დანიელ პროშის სახით. სხვათა შორის, რამაზს ამ დასჯენით ბრძოლაში ერთგვარი რევანშიც უნდა აეღო. საქმე ის გახლდათ, რომ გერმანელმა სპორტსმენმა ნახევარფინალში ფალიანის თანამემამულე ქუთაისელი გიორგი ქოჩინიშვილი დაამარცხა და ყველა ელოდა, რომ გადამწყვეტ შეხვედრაში რ. ფალიანი „ცულ მასპინძლობას“ გაუწყვედა სტუმარს.

ასეც მოხდა, ქართველმა მოკრივემ შესანიშნავად წარმოართა ეს ორთაბრძოლ და ერთხმად გაიმარჯვა. მას შესანიშნავად აუბეს მხარი თბილისელებმა კახა ბარაჯი და აკაკი კაკულიძემ, რომლებმაც შესაბამისად გაიმარჯვეს 51 კგ და 71 კგ წონით კატეგორიებში. მათ გარდა ტურნირის ჩემპიონობა მოიპოვეს ბულგარელმა ვ. კოსტოვმა (51), ტაშკენტელმა ბ. ბელსაროვმა, სსრკ ნაკრების წევრმა ვ. შო-

ხინმა (60), ჩიპჩენელმა ნ. სმანოვმა (63,5), გ. შულცმა (67, ვდრ), ვოლგოგრადელმა ი. კუნიშინმა (75), ერევნელმა ა. ავირტიანმა (81), ლენინგრადელმა ი. ახრეევმა (91), და კუბელმა ხ. კესელამ (+91). სსრკ ეკვიპირის ახლოღმერთი ჩემპიონი.



პიონის საბატიო ტიტული კი წილად ხვდა დიმიტროვგრადელ ვეგენი სულაიკოს, რომელმაც ფინალში დაამარცხა კიეველი სერგეი კრავჩენკო. მესამე ადგილზეა დანიელ ვ. აქმოხოვი.

უახლესი პიონი...

სემინარა

რაგბი

სიხლ

უეობობა

თბილისში, ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში სეოკმა, ფიზკულტურის ინსტიტუტმა და სპორტულ უნივერსიტეტმა რესპუბლიკურმა ფედერაციამ ჩაატარეს სემინარი მსაჯ-ინფორმატორთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ქართული ენის ცოდნის გასაღრმავებლად. სპორტის სპეციალისტთა გარდა, მსმენელთა წინაშე გამოვიდა ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე და შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის ზეპირი მეტყველების კულტურის მასწავლებელი ნატო ჩიტაია.

სემინარზე გადიწდა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან ფიზკულტურის ინსტიტუტის სასწავლო პროგრამაში შეიტანენ ამ თემის, ამასთან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე დაიგეგმება საგანგებო მეცადინეობები მათთვის, ვინც უკვე მუშაობს მსაჯ-ინფორმატორად. ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრებმა ივალდებულეს სტუდენტთა აქტივის გამოყენებით სპორტის შესაბამის სახეობაში დაახსტონ ქართული სპორტული ტერმინოლოგია და შემდეგ წარუდგინონ იგი საგანგებო კომისიას, რომელმაც მუშაობს ამ საკითხზე. გამოითქვა აზრი, რომ ახალი ტერმინები შეიძლება გამოქვეყნდეს პრესაში საერთო განხილვისათვის.

ინფორმაციის მოყვარულთა საყურადღებო!

ყველა ვხედავთ, დღეს კარგად მინიჭებულთა აღმავლობას განიცდის, ვერც პარკი, უნებების ჩემპიონატი, პირველი პროფესიული კლბი "მრეგები", საერთაშორისო ტურნირი მიხეილ მესხის პრიზმა... წინ კიდევ არანაკლები-მასშტაბის ტურნირები გველოდება.

მინისიერების შესავალი პლასტიკა, უზაფო ტექნიკა, ინდივიდუალური თამაში, მრავალფეროვნება და, რაც მთავარია, ყოველივე ეს საკმაოდ დიდ მასშტაბში, მინიჭებულთა მოყვარულებს უშლებას ვაძლევს ვთქვამთ, ჩვენს ზვადწინ-იზადება ვეშმარტად კარგად მინიჭებულთა.

ჩვენ, მინიჭებულთა გულშემატკივართა ჯგუფს მიგვარნა, რომ დრო მეტყმნათ სატრეველს მინიჭებულთა ტოვნილი ასოციაცია.

მოგმართავთ კარგად მინიჭებულთა ყველა ველშემატკივარს!

მოგაწოდეთ ასოციაციის სახის და მინიჭებულთა ტიპის განსმამდწერი წინადადებები, შემოსული წინადადებების საფუძველზე შეიქმნება საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის მომავალი საქმიანობის შესახებ სისკემატურად მოგაწვდით ინფორმაციას პრესის საშუალებით.

ჩვენი მისამართი: 380015 თბილისი, კონსტრუქციის მოედნი 7, სპორტის სასახლე, "მრეგები" გეი. 36. 23. 04

კოტე მასარაძე
გურამ ტვთარაძე
დავით კაკაბაძე
თამაზ სულაძე
ვახა კახაძე
ვაჟა ჩხაიძე
ბადრი კობახაძე

დავით ჩახაძე
ვახა გომართელი
ირაკლი ტვთარაძე
ვახა ბოკერია
თემურ შირხაია
გიორგი ოშიაძე
გივი მელაშვილი

ჩვენი ენა, ქართული...

უბრუნდებიან სახელმწიფო ენას

"ლელოს" რედაქციაში შემოვიდა კოლექტიური წერილი თბილისის დიმიტროვის საჯარო სკოლისგან. გვწერდნენ, რომ ქარხნის სპორტკლუბ "შეგარდენში" კვლავ უარყოფენ ქართულ ენას საქმისწარმოებაში, საილუსტრაციოდ ორი ბლანკი გამოგვიგზავნეს. ფაქტი დადასტურდა. როგორც ვეთხრბეს 1996

პასუხი "ლელოს" ქვედითობა

სიტყვითაც და საქმითაც

თბილისის სპორტის სახელმწიფო დირექცია განცხობებთ, რომ თქვენი გაწეობის 14 დეკემბრის ნომერში მოთავსებული კრიტიკული წერილი სინამდვილეს შეიფერება, რაზედაც სახელმწიფო დირექცია მკითხველებს და სპორტის მოყვარულებს უხდის ბოდიშს.

ფაქტის თაობაზე იმხტელო სპორტის სახელმწიფო დირექციამ და დამნაშავენი დიხსანენ. სპორტული განყოფილების გამგეს ჯ. ვაგანს გამოეცხადა სახტკიი საყვე-

დური, მხატვარს საყვედურს, სოლო დირექტორის მამულაღეს, რომელმაც შეეშოქმედალად გაუშვა ქულაქში აფიშა, მიეცა პითთაღება.

თმნანოვ ლეონიძე,
სპორტის სახელმწიფო დირექტორი.

რედაქციასხაგან: კრიტიკულ პასუხის გარდა საქმეც მოქყვა. თბილისის უნივერსიტეტთან და სხვაგანაც ამივე დღეს უსახტრი და დამნაშავებული ქართული დამწერილი აფიშები შეიცილა ახლით.

ფახზურთის საეციალისტთა, ფახზურთელთა და გულშემატკივართა საყურადღებო!

16 დეკემბრის თბილისის კინო სახლში შედგა ა. ხუდენტის ახალი ფილმის "პეპირდება თუ არა სსრკ ეკვიპირის ჩემპიონატი ფეხბურთში" ჩვენება-განხილვა. სპორტული უნივერსიტეტის გარდა ფილმი ნახეს ფეხბურთის გულშემატკივრებმა, სხვადასხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის სახელმწიფო ფონტის წარმომადგენლებმა.

შეჯღობდა გაიმართა, აგრეთვე ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის, საეციალზე, გადაწყდა, რომ ამავ თემაზე სპეციალისტები, ფეხბურთელები და გულშემატკივრები კინოს სახლში შეიკრიბონ მიმდინარე წლის 26 დეკემბერს. პირობა ახტეო: უნდა დარეკოთ გავთუ "ლელოს" რედაქციაში, სადაც მიმდინარეობს მსურველთა აღრიცხვა (ნაცვალად მოხაწევა ბარათთა), რაც აუცილებელია დამსწრეთა ხაერთო რაოდენობის გასათვალისწინებლად. და, რაც ეხოდენ მნიშვნელოვანია, უფიქრობთ, ამგვარი ვით უფრო დემოკრატიული იქნება დიხსტუში მოწვევა.

გთხოვთ დარეკოთ. ტელეფონის ნომერი 93-97-55. დარეკეთ 24 დეკემბრამდე, ყოველდღეურად 16-დან 17 საათამდე.

გაკვევებულნი...

● **ამას ჰქვია გავრვთა კითილდლოგაზე ზრუნვა?**

● **ვითომ საქმე გააპაეთეს, ფაქტობრივად ყველა-ფარი აბურდეს**

● **ჯოხნიანება სკლიეს ჩოსნიანება**

● **"ჩინუნი მონცეული საქმე"... რომდომდე? გვიკითხვიან მონსაპლავაზი, მათი მოგვლავი, სპორტსკოლის ხელმძღვანელები.**

წოდების მიწეობა

საბავთთა ეკვიპირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრკ ეკვიპირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

ჩოგბურთში—რუსულად მიხიანი-შვილს (თბილისი, სახალხო განათლება), ალექსანდრე ნაბაეტინის (თბილისი, პროფკავშირები)

ძიულში — მერაბ ტოტიკა-შვილს (გარდაბანი, პროფკავშირები), მამუკა კურდულაშვილს (საგარეჯო, პროფკავშირები), ბენიკ ქიჭოვეს (თბილისი, შეიარაღებული ძალები), რამაზ კირაკოშვილს

საშურს თერთი ზეწარი ვადაკროდა, მაგრამ თოვლს ყველა ნაკლი ვერ დეფარა. ან როგორ დაფარავდა? პირაქით, უნდა სურთ გამოეჩინა კიდევ თუნდაც ულტრულ-სპორტულ კომპლექსში.

გარეთ კი თოვლი აღო, მაგრამ ამ კომპლექსის ფოფოში ვუბე დაგვხვდა არა, ეს გუბე არც კარგინდან შემოსულ გამდნარ თოვლს ვაგინა და არც ვახტექილ მელდინად დამსმკლარ წვადს. უბრალოდ ფოფოში წვიმდა!

წვიმაღ დერეფანშიც.

სპორტდარბაზშიც...

— თქვენ მაშინ უნდა ნახოთ, როცა საშურში წვიმა. მაშინ ამ შე-

ნობაშიც ისევე წვიმს, როგორც გარეთ, — ვეთხრბეს საშურელებმა.

არადა, ეს შენობა სულ რაღაც სამიოდ წლის წინათ აუშენებიათ. იმას, თუ როგორი ნაბეღავი გამოუვიდათ, იმედა, ხედებთ. ეს კიდევ არაფერი — შენობის ვარეთაც და შეწითაც ბათქაში ცვივა. სპორტდარბაზის იატაკს რამდენიმე ადგილზე ჩაუარდნიალი.

ეს კულტურულ-სპორტული კომპლექსი სპორტსაზოგადოება "შეგარდენს" ეუთუფნის. აქვე დაუდევს ბინა საშურის სპორტსკოლას, რომლის შეერთებულ-უეფოფოთა, აგრეთვე რაიონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ბუშეტა

ბარათმა, რომელსაც ოცი კაცი აწერდა ხელს, მათთან ჩავიყვანა.

არა, ისინი მშენებელთა ნახელავზე ხულაც არაფერს ჩაოდნენ, ხულსხვა რამეზე წუხდნენ და დამნაშაბას გვთხოვდნენ.

მართალია რომ თქვათ, შემოსული წერილის გამოქვეყნება ვადავწვდებო, მაგრამ მერგ დავამკვიტო — ისეთ ფაქტზე წერდნენ, რომ ცოცხალი არ იყო დაუჭერებელი ჰეჩენა. თუმცა, ახლამდე დროში დაუჭერებელი რა არის. ჩემს ეს ფაქტზე უოფილიუტ საეუვო და საქმეანო.

სამწუხაროდ, ყველაფერი მართალი აღმოჩნდა. აი, იმ წერილის შინაარსი:

"გაცნობებთ, რომ საშურის სპორტსკოლის კამპლექსი შენობა 1987 წელს რაიონის ხელმძღვანელობამ კომეკვიპირის რაიკაბს, ფურთო წუხტაღ, მის ახალგაზრდულ კლუბს გადასცა. სპორტსკოლა სკეკუთარა ხაზს ვარეუ შედრისა. ახლა სპორტსკოლა შეხსნულია კულტურულ-სპორტული კომპლექსის შენობაში, რომელიც "შეგარდენს" ეუთუფნის კომპლექსი სამე-

გაკვეთილი...

(დასასრული)

ურნო ანგარიშზეა და ამიტომ სპორტსკოლის ჯგუფების მეცადინეობისათვის ხარჯად 81 ათას მანეთს ათხოვენ, ამ თანხის გადახდის საშუალება კი არც ჩვენს სპორტსკოლს და არც განათლების განყოფილებას არა აქვს.

ახეთ ვითარებაში კომპლექსის აღმინებარებისათვის აგერ უკვე მესამე წელია გაუთავებელი დავაა. აღნიშნულ კომპლექსში სპორტსკოლის ფუნქციონირებისათვის ცუდი პირობები აქვს. ამიტომ გვიჭირს მაღალტანადობის მომზადება. არადა, ნაშურის სპორტსკოლაში აღწერილი არაერთი კარგი სპორტსმენი, რომლებსაც გაუმარჯვებოთ როგორც რესპუბლიკურ ჩემპიონატში, ისე საკავშირეო და საერთაშორისო ტურნირებში.

როდესაც სპორტსკოლის შენობა კომპლექსის რაიონში გადასცეს, რაიონის ხელმძღვანელობა გვიპირდება ახალი ტაბორის სპორტსკოლის შენობას, სადაც ამჟამად კულტურულ-სპორტული კომპლექსია მოთავსებული, მაგრამ ეს ასე არ მოხდება.

ამიტომ ჩვენ ვაყენებთ წინადადებას და აღბათ სამართლიანად, რომ საქართველოს პარლამენტის სპორტსაზოგადოებების რესპუბლიკურმა საბჭომ აღნიშნული კომპლექსის ბალანსიდან ბალანსზე გადასცეს სახალხო განათლების სამინისტროს ნაშურის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლას.

გთხოვთ დაგვეხმაროთ ამ საკითხის მოგვარებაში.

ნაშურში თვალნათლივ დავრწმუნდით, რომ სპორტსკოლის აღსაზრდელები მართლაც ცუდ პირობებში არიან. უკვლავ რომ წყალი ჩამოდის, ეს შედეგის ერთი მხარეა. ახლა მეორე მხარესაც შევხედოთ. კულტურულ-სპორტულ კომპლექსში სპორტსკოლის მოჭიდებებს ბოლო დრომდე ნორმალური დარბაზი ჰქონდათ დათმობილი, მაგრამ როგორც ვერს გააძევეს, იქიდან ისე გაშოკებულ და ერთი პატარა ოთახი მისცეს. ამ ოთახს არც გასახლელები აქვს და არც საშხაპე. შხაპი რა არის, აქ მოვარჯიშებმა საერთოდ არ იციან.

იმ პატარა ოთახში, სადაც მოჭიდებები მეცადინეობენ, ვარჯიში პრაქტიკულად შეუძლებელია.

— ამ „დარბაზში“ ერთი ჯგუფიც კი ვერ ეძებო, — გვეუბნება სპორტსკოლის კლასიკური სტილის მოჭიდებთა მწვრთნელი ნიკოლოზ ხვედელიძე. — ვარჯიშისას ერთი წველი ნშირად მეორეს ეჯახება, ზოგჯერ იღეთის ჩატარებისას მოვარჯიშებთა კედელს ენარცხებიან და, ბუნებრივია, არც ტრავმები ისე იშვიათი.

აღსანიშნავია, რომ ჰაბუკ მოჭიდებთა მშობლებმა ნაშურის რაიონულ განათლებაში („გამარჯვების გზა“) წერილიც გამოაქვეყნეს სათაურით „რატომ ხდება ასე?“. წერილს 7 კაცი აწერს ხელს. ისინი წერენ: „...დღეს, როდესაც სპორტს უფრო და უფრო მეტი უპირატესობა ექცევა უკვლავ, სახალხო სკოლის (სადაზარაო ნაშურის სპორტსკოლაზე) საქმიან სულ უკან მიდის. ჩვენი ბავშვები კიდაობაზე დადიან, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში მათ შეწყვეტეს ვარჯიში. ჯერ ერთი, ჩვენ არავითარი დამატებითი შემოსავლი არა გვაქვს, რომ ბავშვების ვარჯი-

შისათვის თანხა ვინადავო, მეორეც: დარბაზში, სადაც ისინი ვარჯიშობდნენ, დაიწყეს პარკეტის აყრა. ვეღარ გავრკვეულვართ — იარსებებს საერთოდ კიდევ სასპორტო სკოლა?“

იმ დარბაზში, სადაც ადრე მოჭიდებები ვარჯიშობდნენ, კულტურულ-სპორტული კომპლექსის ხელმძღვანელობას ბილიარდის მაგიდები ჩაუშვრავდნენ. აქ ყველაზე უძლია ბილიარდის თამაში, ოღონდ გარკვეულ საფასურად. ასე დაჯაბნეს ჯონიანებმა ჩონიანები.

ამ კომპლექსის ერთ ოთახში სპორტსკოლის მოჭიდებები ვარჯიშობდნენ. მერე ისინი კულტურულ-სპორტული კომპლექსის ოთახში შევიწროვდნენ. ოთახში მოჭიდებთა მაგიდებს ერთ მხარეს მიაცილებენ და აახოხოლავენ ხოლმე. მერე მოჭიდებები იმ მაგიდებს ისევ თავის ადგილს უჩვენენ. და ასე გაუთავებლად...

ახლა საერთოდ მოჭიდებთა გაძევება გადაწყვეტილია.

ისინი გამო, რომ ამ კომპლექსში სპორტსკოლის აღსაზრდელობის ადგილი აღარ რჩება, ნეკციების მეცადინეობები ხვადანხვა სკოლაში ტარდება, მათ შორის რაიონის სოფლებშიც. ამიტომ სპორტსკოლის დირექტორს ვთხოვთ დაგვიხმარონ სპორტსკოლაში მოჭიდებების შექცევის საკითხზე.

— რა დააშავა ჩვენმა სპორტსკოლამ, რომელიც 1988 წლიდან არსებობს? — გვეკითხება სპორტსკოლის დირექტორი.

სპორტსკოლა რესპუბლიკის 150-მდე სასწავლებელს შორის ხაუკეთისა ოცეულშია. მაგრამ თუ მისი გაჭირვებული მდგომარეობა არ გამოწვევდა, მეორე ოცეულში გადაინაცვლებს და უფრო უკანაც დაინებეს.

ფაქტი ერთია: სპორტსკოლას მშენებელი საკუთარი ჰერო, საკუთარი ბაზა, მაგრამ იქიდან გამოაზახლეს. კულტურულ-სპორტულ კომპლექსში რა დღემდე ჩაცვიდნენ, უკვე ვნახეთ. თავის მხრივ, ამ კომპლექსის ხელმძღვანელობაც მართალია — თავის საკუთარ ჰეროზე რაზაც უნდა იმას გააკეთებდნენ და ვინაც უნდა იმას შეასახლებდნენ და გაასახლებდნენ კიდევ. მაგრამ ეს კომპლექსი ხომ პროფესორთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ რაიონის წილობრივი მონაწილეობით ააგო. ამდენად, რაიონს ამ კომპლექსში თავისი წილიც ეკუთვნის და ეს წილი, ჩვენი აზრით, სპორტსკოლას თავის გამგებლობაში უნდა ჰქონდეს მანამ, სანამ მას საკუთარი ბაზა არ ექნება.

ვინ უნდა მოავაროს ეს პრობლემა? — რა თქმა უნდა, ისევ რაიონის ხელმძღვანელობამ. წინააღმდეგ შემთხვევაში დავა დაუსრულდება გაგრძელებად.

დაბოლოს, კიდევ ერთი: სპორტსკოლის დირექტორმა ნორჩ სპორტსმენტა გასაჭირზე რაიონულ განათლებაში გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „ჩინში მოქცეული საქმი“ (26 ოქტომბერი), მაგრამ მას არავინ გამოხმაურებია და პრობლემის გადასაჭრელად ზომებიც არავის მიუღია.

იმედია, ჩვენი წერილსაც იგივე ბედი არ ექვევ.

ავთანდილ ვაჟიშვილი.

„დღეს“ სპეც. კორ, ნაშური.

ალბერტოვი?

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი უზბურთში

წინადადება, შენიშვნები, მოსაზრებანი

ვაკეთოთ ის, რაც

აუცილებელია ჩვენთვის

უზბურთში

ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებრივი ცენტრის თათბირის მონაწილენი შეთანხმებულან, რომ მოიწონონ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გამართვის იდეა და მიმართონ ფართო საზოგადოებრივობას, გამოეხატოს თავისი აზრი, წამოაყენოს კონკრეტული წინადადებები ამ შეჯიბრების უკეთ ორგანიზებისა და მისი ავტორიტეტის ასამაღლებლად. გადაწყდა ისიც, რომ „ლელოს“ ფურცლებზე გაიშალოს დისკუსია ამ საკითხზე, ასე რომ, როგორც ძველი გულშემატკვარი, თავს უფლებას ვაძლევ გავაცნოთ ჩემი სუბიექტური და მუსტიკიდის ბალის არსებული სპორტის მოყვარულთა კლუბის წევრთა საერთო შეხედულებანი (რახან სიტყვამ მოიტანა, გაცნობებთ იმასაც, რომ ამ კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი ვახლავართ).

საფეხბურთო თემზე გამოქვეყნებულ ბოლოდროინდელ პუბლიკაციებში თამადა გაისმის მოთხოვნები, ჩატარდეს საქართველოს დამოუკიდებელი ჩემპიონატი უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგების გუნდების მონაწილეობით. ავტორები ასახულებენ კიდევ ამ სიხლის სიტყვებს. ჯერ კიდევ 50-60-იან წლებში ბატონი ანდრო ყორღანი, შემდეგ კი ბატონი ნორდარ ახალკაცი მიუთითებდნენ, რომ საქართველოს უმაღლესი ლიგის ავტორები და პირველი ლიგის გუნდებისათვის აუცილებელი სტადიონური რეზერვის მომზადების სისტემა, კერძოდ, ჩატარებულიყო საქართველოს ჩემპიონატი 14-16 პროვინციულ გუნდის მონაწილეობით. ამ კოლექტივებს, ცხადია, უნდა ჰქონოდათ კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ჰყოლოდათ მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელები. იყო მაშინ ამ საქმის მოგვარების საშუალება? მოგვხსენებთ, არა!

სადღისოდ ვითარება შეიცვალა. 1986 წლის 7 აპრილს „პრავდაში“ დაიბეჭდა ლეონიდ ზორინის წერილი „ფიჭები ფეხბურთზე“, რომლის საერთო აზრი ცხადყოფდა, რომ ჩვენს ფეხბურთში იწყებოდა ახალი ერა — ოფიციალურად მკვიდრდებოდა პროფესიული ფეხბურთი. ეს მოვლენა, ცხადია, გარდაქმნის საერთო პროცესის ნაწილი იყო — იცვლებოდა შეხედულებანი არა მარტო პოლიტიკის სფეროში.

სიხლეს, მოგვხსენებთ, გზის გაცვლვა უჭირს. მაშინ კი, როცა ცენტრი პოზიციებს არ თმობს, ვითარება საგრძობლოდ რთულდება. სამაგალითოდ გავიხსენებ „ლელოს“ 7 ნოემბრის პუბლიკაციას „ფედერაცია და კავშირი: მოვალეობანი და უფლებამოსილებანი“. ამ პუბლიკაციის შინაარსით თუ ვიმსჯელებთ, იმ დსკენამდე მივალთ, რომ „იქ, ზემოთ“ ასე მიუჩვენიათ: ფეხბურთის ახლანდელი სტრუქტურის გარდაქმნა-განვითარების საქმიანი არაფერი ეკითხებათ რესპუბლიკათა სპორტსაზოგადოებას და მათში შემავალ ფეხბურთის სამმართველოებს. სწორედ ამიტომ, უპირახია ვაგვისხენათ ბატონ მერამ ვა-

მარდშვილის ფრიალ გონივრული შეგონება: საქართველო ვაკეთოთ ის, რაც აუცილებელი და სასარგებლოა ჩვენთვის და არ გიფიქროთ იმაზე, ვახარებთ თუ უწყინებთ ეს მსკეცები. მართლაც: არა მგონია ცენტრში განხარებოდათ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნა, მაგრამ ხომ გადავდგით ეს თამაში ნაბიჯი? ცხადების კალაპოტს დრო აფართოვებს. ცენტრის სტიქიურად მიუხედავად სპორტი მაინც „გამოიქნის“ განვითარების ახალ გზებს. ვაგვისხენით, როგორ განსხვავდებოდა ეს წელიწადი განვლოთაგან. ვაგვის ერთი-ორი წელიც და, ამასვე ვიტყვი, „ამ“ და „იმ“ დროის შედარებისას. მთავარია, არ ჩამოვრჩეთ დროს და საქმეს, ვიპროვინოთ და ვიმოქმედოთ ფიზიკურად, ალღოიანად. „ლელოს“ 15 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა აკაკი ხონაშვილისა და აბელ ანდიაშვილის წერილი სათაურით „მოთმინებასაც საზღვარი აქვს“. ამ წერილის წაკითხვის შემდეგ სურვილი გამიჩნდა, შემეცვალა სათაურის პირველი სიტყვა „მოთმინება“ „მოამბობით“ და აი, რატომ: წერილიდან ირკვევა, რომ ავტორებს კარგად ესმით — მსაჯების ზოგიერთი შეგნებული შეცდომა „ზემოდან“ მიღებული საგანგებო დავალების შედეგია. ამ მანკიერების წინააღმდეგ საბრძოლველად ავტორები გეთავაზობენ შემდეგ: მსაჯებმა ფიცი დადონო. ბატონო აკაკი და ბატონო აბელ! უმჯობესი არ იქნება, ფიცი დავალებით იმ ჩინოფიკებს, „ზემოდან“ რომ ავალბებ მსაჯებს უსამართლობას. აკაკი კარგად ვხსოვრებით, როგორ დაწინაურეს „ლატი-შვიც მსაჯთა საკავშირო კოლეგიის მამკლდამარედი თბილისში ჩადენილი „გმირების“ შემდეგ. საერთოდ, არა მგონია, ვაჭარბებდე, თუ ვიტყვი: თავი რომ მოგუყაროთ და გულდასმით გაეანალიზოთ ყველა ის პუბლიკაცია, სადაც ლაპარაკია საკავშირო გათამაშებებისა და რესპუბლიკის ჩემპიონატების მატჩებში მსაჯთა განზრახ არაობიერებაზე, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ზოგიერთი უზენა და ხელმრუდე არბიტრი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიეცემს იმსახურებს. ერთი სიტყვა ეშმაკისკენო და, ან კი რა მოეთხოვება მსაჯს, რომელიც 30-40 ან 5-10 მანეთს იღებს „ხელობაში“. ესეცაა, განა ყველაფერში მსაჯები არიან დამნაშავენი? აი, რა განაცხადა შარში „ლელოს“ ფურცლებზე ბატონმა ავთანდილ ჯუკასელმა: „საქართველოში არსებული არცერთი სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა და სკოლა-ინტერნატი ნორმალური მუშაობის პირობები არ გააჩნია“.

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ჩემი აზრით, უმჯობესი იქნება, საფეხბურთო სასწავლებლების ამ მრავალუწყებრივმა კონგლომერატმა თავი მოიყაროს ერთი პატრონის ხელში.

ამჟამად საკავშირო გათამაშებებში მონაწილეობს ჩვენი 13 კოლექტივი. ეს ყველაზე დიდი ციფრია განვლილ წლებთან შედარებით. ქანბურთით. ეროვნული ჩემპიონატის დროს მეტი ყურადღება მიექცევა მსაჯთა საფეხბურთო სკოლაში სრულყოფილი რეზერვის მომზადებას. სწორედ საერთაშორისო შეჯიბრებებში ჩვენი გუნდების მონაწილეობა იქნება ქართული ფეხბურთის ღონის სწრაფი ზრდის საწინდარი, სწორედ ასეთ შემთხვევაში დავიბრუნებთ ქართულ საფეხბურთო ხელწერას, ასე რომ დაგვაიწყა ფეხბურთის რუსულმა სტილმა, სადაც

როდული ფეხბურთი ჯერ კიდევ განვირგნა თვითმყოფადობით, ტექნიკური ოსტატობით. საფეხბურთო სპორტული ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხარვეზების მიუხედავად, მიღწეულია მრავალი წარმატება ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთში. „გეროის“ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაც ამის დასტურია. ზოგიერთი მწვრთნელის ჩივილი, საქართველოში შემოვლასკლდა ნიჭიერი ახალგაზრდების, უსაფუძვლოა. მიზეზი მათ თავიანთ თავში, თავიანთ საქმიანობაში უნდა ეძებნათ.

ერთი-სიტყვით, თუ მოვიწოდებთ და გონებრივადაც ვაგვირკებით, შეუძლებელი არაფერია ჩემი აზრით, ნამდვილად ძალადის კარგად ორგანიზებული, ავტორიტეტული საფეხბურთო ჩემპიონატი ჩატარება. პირადად მე ასე წარმომიდგენია ამ შეჯიბრების სტრუქტურა: საკავშირო გათამაშებებში მონაწილე საქართველოს ყველა გუნდი აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს ეროვნულ ჩემპიონატში. მათ უნდა დაემატოს საქართველოს პირველობის სამი საუკეთესო კოლექტივი, ე. ი. სულ 16 გუნდი. ისინი უნდა გაიყოს ორ, აღმოსავლეთ და დასავლეთ ჯგუფად, თითოეულ ჯგუფში იასპარეზებს 8 კოლექტივი. საკავშირო გათამაშებების აქტივობების გამოკვეთების შემდეგ და მათი გათვალისწინებით, შედგენილ იქნეს ეროვნული ჩემპიონატის კალენდარი. ჩემპიონატი ჩატარდეს გაზაფხულ-შემოდგომით. საქართველოს პირველობის სამ საუკეთესო გუნდს უმაღლესი და პირველი ლიგების კოლექტივებთან შეხვედრებში მიღწეული გამარჯვებისათვის დაიერიცხოს 3 ქულა, ფრედ დამთავრებულ შეხვედრაში — 2. შესაძლოა, დებულებების ეს უმელო გაეაქციოს მეთორე ლიგის კოლექტივებზეც. ჯგუფებში პირველ სამ ადგილზე გასულმა გუნდებმა შექმნან ექვსეული. ამ, გადაწყვეტე ეტაპზე ქულათა დარიცხვის „შედეგით“ სისტემა არ იმეორებოდეს. ის ორი გუნდი, რომელიც ჯგუფებში ბოლო ადგილებზე გავლენ, დატოვდნენ გათამაშებას.

საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე, საქირო იქნება მივალწით იმას, რომ ეროვნული ჩემპიონატის სამი საუკეთესო კოლექტივიდან ერთმა მათსც იასპარეზოს ვეროპულ ტურნირებში.

ჩემს შემსაღო ოპინიებებს იმასაც ვანუცხადებ, რომ ათ ამგვარ ჩემპიონატში თბილისის „დინამო“ ხუთჯერ ვერ მოიპოვებს პირველობას. ახლა საქართველოს თასის გათამაშების შესახებაც. ყოველ მიუღებლად მსახინია ამ ტურნირის ახლანდელი სიხით დატოვება. მეტიც, ჩემი აზრით, თუ რაიმე ამცირებს ქართულ სპორტს, ეს, უპირველესად, საქართველოს თასის ამგვარი გათამაშებაა. ერთ საკითხზეც ვაგვახსენებ ყურადღებას: სირცხვილი არაა, საქართველოს თასი ამ ფორმისა იყოს, როგორც ახლანდელი წინადადება შემომაქვს: მოყვარულ კოლექტივთათვის დაწესდეს დავით აღმაშენებლის ოქროს თასი. ერთიც: საკითხავია, რატომ არ უნდა იკადრონ II ლიგის კოლექტივებმა საქართველოს თასის გათამაშებაში მონაწილეობა?

ვაშა კინანაძე.

თბილისი.

ერთადერთი გზა

პარტიულ ფეხბურთს ერთი რამ იხსნის: დაუყოვნებლივ უნდა ვთქვათ უარი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობაზე და მეტი ყურადღება გადავიტანოთ რესპუბლიკის დამოუკიდებელ პირველობაზე, ამასთან, უნდა გავხედოთ ევროპისა და მსოფლიო ფეხბურთის ასოციაციათა წევრები. მაშინ ვეროვნულ ტურნირებში საქართველოდან სამი გუნდი მიიღებს მონაწილეობას, რაც ვაზრდის ნიჭიერი ბავშვების დაინტერესებას ფე-

ხბურთით. ეროვნული ჩემპიონატის დროს მეტი ყურადღება მიექცევა მსაჯთა საფეხბურთო სკოლაში სრულყოფილი რეზერვის მომზადებას.

სწორედ საერთაშორისო შეჯიბრებებში ჩვენი გუნდების მონაწილეობა იქნება ქართული ფეხბურთის ღონის სწრაფი ზრდის საწინდარი, სწორედ ასეთ შემთხვევაში დავიბრუნებთ ქართულ საფეხბურთო ხელწერას, ასე რომ დაგვაიწყა ფეხბურთის რუსულმა სტილმა, სადაც

მთავარი აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზეა გადატანილი (მას ეწირება ჩვენი მოთამაშეების ინდივიდუალურ-ტექნიკური მონაცემები). ჩვენს ფეხბურთს ინდივიდუალური განვითარების გზა სჭირდება. მაშინ კვლავ გამოჩნდებიან მომავალი მესხები და მეტრეველები. ეროვნულ ჩემპიონატში ჩვენი გუნდების მონაწილეობა ერთადერთი გზა იმისათვის, რომ კვლავ დავიბრუნოთ დაკარგული ტრადიციები.

ვაშა კინანაძე.

ღირსეულად მოვემსახუროთ

მისხის იმ ხალხისა, რომლებიც დაყენებით მოითხოვენ, რომ ჩატარდეს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. მაგრამ ვერ გამოვია, როცა ისინი ამბობენ, თითქოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობა საქმარისი იქნება, რათა დამოუკიდებლად ჩავერთოთ საერთაშო-

რისო საფეხბურთო მოძრაობაში. ეს ხომ მართლა ასე არ არის. კი, მერე აღბათ დაგვხვდა დრო, მაგრამ მანამდე?.. ვაგთვალთ საზოლოო შედეგი, რას მოგვცემს ასეთ ეროვნული ჩემპიონატი? ჩემი წინადადება ჩავეართოთ ეროვნული ჩემპიონატი საქართველოს ყველა უძლიერესი გუნდის მონაწილეობით, მაგრამ ჩავატაროთ შემოდგომა-გაზაფხულზე ან ჯერჯერობით მართლაც მხოლოდ „დამოუკიდებლობის თასის“ გათამაშებით დაგვკავდეთ. ნუ ავჩქარდებით, ეროვნული ჩემპიონატისთვის ღირსეულად უნდა მოვემსახუროთ.

ვაშა კინანაძე.

თბილისი.

ჩვენს მოქალაქეთა ტრენინგზე

წარმატებით იასპარეზეს საქართველოს წარმომადგენლებმა ქალაქ ნარვაში (ესტონეთის სსრ) საკავშირო ტურნირში „კლასიკურ ჰიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდა 22 გუნდი. მათ მოიპოვეს 7 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედალი.

ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: გ. ლელაძე (54 კგ), გ. გოზალიშვილი (58), შ. აბანია (62), ზ. ოქროშვილი (64), დ. ხეგაურიანი (71), ზ. ლონდაძე (76) და ზ. კეკელია (87). ბრინჯაოს მედალებს დაუფლდნენ ა. კოჭლაშაშვილი (54) და ლ. ჯიმშელიშვილი (მძიმე წონა).

ჩვენი გუნდი მოამზადეს სპორტსაზოგადოებმა „შეგარდენის“ უფროსმა მწვრთნელმა გ. გულადაშვილმა და მწვრთნელმა ს. დოლიძემ.


ს. ზარიანიძე.

თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კვიდაობის სპორტსკოლის ნაკრები მონაწილეობდა ერევანში, თავისუფალი სტილის მოჭიდებთა ტრადიციულ საკავშირო ტურნირში ჰაბუტა შორის სპორტის დამახებრებული ოსტატის ა. ნაზარაიანის პრიზზე.

ჩემპიონები გახდნენ: ზურაბ თვაური (63 კგ), გელა ფსტურტი (68 კგ), ნუგზარ ბაქრაძე (74 კგ), კობა იაძე (81 კგ) და ფილიმონ აბრამიშვილი (88 კგ). მეორე ადგილები დაიკავეს ეზმარ ბენდინიშვილმა (46 კგ) და ვაია გილაშვილმა (74 კგ). ყველა პრიზიორის მწვრთნელია საქართველოს დამახებრებული მწვრთნელი ნუგზარ ლამაშიძე.

მეკვლე

შპს ძალადმომხრე



აქავე, ურთილი, მარსულსადაც

ჩვენმა აკრობატებმა არაერთ დიდ წარმატებას მიაღწიეს. საკმაოდ მსოფლიო ჩემპიონი გახდა, მაგრამ ყველა მიღწევას თავისი ყაბიჩის გამბეობა, თავისებური მეკვლე სტილი აქვთ.

ასეთი მეკვლის როლი შეასრულა 50 წლის წინ ჩატარებულ საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებულმა თბილისელმა ოთხეულმა — რუდოლფ ემელიანოვმა, თეიმურაზ მიაყაშვილმა, მიხეილ ქელესაშვილმა და კარო ვართანოვმა. ქვეყნის ჩემპიონობა იმ დროს ყველაზე მაღალი ტიტული იყო, მისი მფლობელი მსოფლიო მსაჯურთაგან ერთ-ერთი იყო და პატივით სარგებლობდა.

ამ დროს შესანიშნავი თარიღის შესახებ მოგვითხრობს საბჭოთა კავშირის ექვსეზის ჩემპიონი მიხეილ ქელესაშვილი:

— ცოტა შორიდან დაიწყებ. საქართველოში აკრობატიკა ოფიციალურად 1938 წელს შემოვიდა, თუმცა ორი წლით ადრე ფიზკულტურის ტექნიკუმში, სადაც იმ დროს მე ვსწავლობდი, გორგი ეგნატაშვილის დაავლებით მსურველებს სპორტის ამ სახეობაში ვავარჯიშებდი. აკრობატიკა გორში ცირკის მსახიობების ცქერით ვისწავლე. ტექნიკუმში აღდგენილი სავარჯიშო პროგრამებს. მოგვიანებით აკრობატიკა განათლების სისტემის სპორტსკოლაშიც დაინერგა. სექციის მე და კონსტანტინე გრომოვი ეხელმძღვანელობდით. მაშინ, დღევანდლისაგან განსხვავებით, იყო ვაკეთა სამეულები და, წარმოიდგინეთ, ხუთეულებიც კი. სამაგვიროდ, არ იყო ქალთა სამეულები. და აი, 1939 წლის მაისში საკავშირო სპორტკომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარის ვიქტორ პანბრანცევისგან მომართვა მოვიდა. გვაცუბინებდნენ, რომ 11-13 დეკემბერს მოსკოვში გაიმართებოდა

საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატი და გვთხოვდნენ შევჩინებოთ საქართველოს გუნდსაც შევლო მონაწილეობა. წერილს თან ახლდა სავარჯიშო პროგრამა. გადაწყდა, 6-7 დეკემბერს თბილისში გამართულიყო ქალაქის პირველობა სპორტულ აკრობატიკაში, რომლის მიხედვითაც უნდა შერჩეულიყო რესპუბლიკის ნაკრები გუნდი. მთავარი მსაჯი ვახლად გიორგი ეგნატაშვილი, მსაჯები — არჩილ ბაქრაძე, ვახტანგ ციციშვილი, კოტე მეიფარაონი, ნიკოლაი პროკოფიევი, კოტე ბიბილური, დავით მაქა-

ვარიანი, გიგა ბერიძე და გულო რეხილიძე. ყველა მათგანი ტანმოვარჯიშე იყო. სამწუხაროდ, მთავან დღეს აღარავინაა ცოცხალი.

შეჯიბრებაში 35-მდე სპორტმენი ჩაება. პირველ დღესვე უმრავლესობა ასპარეზობიდან მოხსნეს, რადგან მაშინდელ ნორმატივებსაც ვერ აკმაყოფილებდნენ. მოსკოვში გამგზავრების უფლება მოიპოვა ჩვენმა ოთხეულმა, სამეულმა დავით ბეთლემიძის, ვალდია მარელჩენოს და ვალენტინ კაჩერგინის შემადგენლობით და მხტომელმა ივანე ჯანდიერმა.

შეჯიბრების მეორე დღეს ჩვენი სპორტული „დელეგაცია“, რომელსაც ასაკით ყველაზე უფროსი რუდოლფ ემელიანოვი ხელმძღვანელობდა, მატარებლით ასპარეზობაზე გაემგზავრა. სამდღენაევრის

შემდეგ ჩავედით მოსკოვში, იმავე საღამოს პრავდის ქუჩაზე მდებარე „კრილია სოვეტოვის“ მრგვალი სპორტული დარბაზის სარბიელზე გამოვედით. შეჯიბრებაში ჩვენს გარდა მონაწილეობდნენ მოსკოვის, ხარკოვის, მოლოტოვის (ახლანდელი პერმი), კიევისა და შინსკის აკრობატები. მართო ჩვენ გამოვდიოდით რესპუბლიკის სახელით. პირველი დღის შედეგებით მოსკოველები დაწინაურდნენ. ჩვენ მესამე ადგილზე ვიყავით — ხარკოველები გვისწრებდნენ. მეორე დღეს ხარკოველი აკრობატები ჩამოვიტოვეთ. ფინალში კი მოსკოველებიც დაეპარცხეთ და საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონები გახდით. ჩვენი სამეული მესამე ადგილზე გავიდა. ივანე ჯანდიერმა

ხელი იტონა და შეჯიბრებაზე გამოვიდა. გამარჯვებულები მოსკოვსახელობის წითელი გერბიანი მაისურებით, სსრ კავშირის მედლებითა და ექვსეზით დაჯილდოვდნენ. ამავე დროს მეორეზე ვაგვიკეთეს წითელი ბაფთა. წარწერით — „საბჭოთა კავშირის ჩემპიონი“. შემდეგ იქვე, სპორტულ დარბაზში დაგვირგვინა 100-100 თუმანი (ძველი კურსით). გარდა ამისა, საქართველოში კიდევ 80-80 თუმანი დაქვების სიგელებიც გადმოგვცეს.

მას შემდეგ 50 წელი გავიდა. მიხეილ ქელესაშვილისა და მისი მეგობრების (სამწუხაროდ, დღეს პირველი ჩემპიონებიდან თეიმურაზ მიაყაშვილი აღარ არის ცოცხალი, იგი სამამულო ომში დაიღუპა) დარეგულმა ნერვმა იხარა და მსოფლიოც მოგვცა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის უშუალოდ ბატონ მიხეილს. გარდა იმისა, რომ საბჭოთა კავშირის მრავალჯობის ჩემპიონი იყო, მან ბევრი კარგი აკრობატიც აღზარდა. მიხეილ ქელესაშვილი ათეული წლების განმავლობაში იყო საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით ჩვენმა გუნდმა არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. მ. ქელესაშვილის აღზრდილმა 64 აკრობატმა სპორტის ოსტატის წოდება მოიპოვა, მისი ხელდასმულია ჩვენი ნაკრების მწვრთნელთა უმრავლესობაც.

ყოველივე ამისათვის იყო, რომ საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს მიხეილ ქელესაშვილის გვარი საქართველოს სპორტკომიტეტის საპატიო წიგნში შეიტანეს.

„დეკალს“ რედაქცია ულოცავს ვეტერან სპორტმენებს საიუბილეო თარიღს — მოპოვებული ჩემპიონობის 50 წლისთავს, უსურვებს ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ჯანალ კახრაძე,

სურათზე: პირველი ჩემპიონები (1939 წ. გადაღებული ფოტოები).



Первые чемпионы СССР по спортивной акробатике - Москва 1939 год. Макашвили Т.Г., Емильянов Ф.А., Кривохашвили И.А., Вартанов К.П.

მებრძოე სნოკილია

შენევაში გაიმართა ევროპის ახალგაზრდული საფეხბურთო ჩემპიონატის (ასაკი 21 წლამდე) წილისყრა.

წილისყრის შედეგად მეოთხედფინალის მებრძოეები ასე დაწყვილდნენ:

„ა“ ჯგუფი. იუგოსლავია — ბულგარეთი;

„ბ“ ჯგუფი. სსრ კავშირი — გერ;

„ც“ ჯგუფი. ჩეხოსლოვაკია — შვეიცია;

„დ“ ჯგუფი. იტალია — ესპანეთი.

მებრძოეები ურთმანეთთან ორ-ორჯერ ითამაშებენ, შემდეგ ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „ა“ და „დ“ ჯგუფების გამარჯვებულნი და „ც“ და „ბ“ ჯგუფების გამარჯვებულნი.

თამაში არ შედგება

იტალიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ფეხბურთის ფედერაციებმა უარი თქვეს თავიანთი ეროვნული ნაკრები გუნდების შეხვედრაზე, რომელიც მომავალი წლის 28 მარტს უნდა შემდგარიყო. — მას შემდეგ, რაც იტალიისა და შეერთებული შტატების გუნდები მსოფლიო ჩემპიონატის ერთ ჯგუფში მოხვდნენ, უბრალოდ, ახ-

რი არა აქვს ერთმანეთთან თამაშს. — აღნიშნა იტალიის ფედერაციის წარმომადგენელმა. მსოფლიო ჩემპიონატისთვის საშინაოს პროგრამით იტალიელებს ჯერჯერობით საწვრთნელი შეხვედრები დაგეგმილი აქვთ მსოფლიო ჩემპიონებთან, არგენტინელებთან (26 დეკემბერი) და ევროპის ჩემპიონებთან — პოლანდიელებთან. (თებერვალი).

მხროდ დასახლოებ ადგილები

ევროპის საფეხბურთო ასოციაციის კავშირმა ციურინში მებრძო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო: ევროპის საკლუბო თასების ყველა ტურნირის შეხვედრები ჩატარდება მხოლოდ იმ სტადიონებზე, სადაც ადგილები დასაჯდომია. უფას-ს ეს გადაწყვეტილება ნაკარხანგეია უნიფათობის აუცილებ-

ლობით. სწორედ იქ, სადაც ადგილები ფეხზე მდგომელთათვისაა განკუთვნილი, წარმოიქმნება ადამიანთა ძლიერი მოძრავე ტალა, სტატისტიკა მებრძოეებს, რომ ასეთ სტადიონებზე ხდება უწყსრილობანი, ადამიანები ხიფათის წინაშე იმყოფებიან.

გერ-დან გერ-ში

გერმანიის „დინამოსა“ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილი ფეხბურთელი ანდრეას ტომი მომავალი სეზონიდან ითამაშებს დასავლეთ გერმანიის ქალაქ ლევერკუზენის „ბაიერში“. ა.

ტომი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი ფეხბურთელია, რომელმაც ოფიციალური კონტრაქტი გააფორმა გერ-ის კლუბთან.

უფას თასის ორჯობის მფლობელი „გოტებორგი“ კრიზისს განიცდის. სიტუაციის გამოსასწორებლად კლუბის სპორტული დირექტორი სტიგ ფრედრიქსონი ახალი კალაბურთელების ყიდვას აპირებს. უკვე შეძენილია ნორვეგიელი მკველი ტორე პედერსენი („ფრედრიქსტალი“), მიმდინარეობს მოლაპარაკება სტეფან რენთან (ინგლისის „ვევერტონი“) და რომბერტს ფრიდრიკსთან („ჟალიგისი“).

„პლაზმა რინჯარისი“ აგრძელებს ინგლისელი ფეხბურთელების ყიდვას. „ქუინს პარკ რენჯერსიდან“ 500 ათას ფუნტად შეიძინეს ნაიჯელ სპაკმენი.



იტალიის „ლაციოს“ ხელმძღვანელობამ 15 ათასი დოლარით დააჯარიმა თავისი ბრაზილიელი ფორვარდი ამარილდო. ამის მიზეზი გახდა „რომასთან“ კალენდარულ მატჩში მიღებული წითელი ბარათი.

იტალიის „გაიეტა დელო სპორტმა“ გამოაქვეყნა მსოფლიოს ნაკრების ვარიანტი ნოემბრისთვის შედგებით: „მილტონი“ („დერბი“, ინგლისი), „მანინი“ („გასკო და გამა“), „ალდაირი“ („ბენფიკა“), „გაგლო“ („ბორჯაგო“), ბრანკო („პორტო“, თხზივე მკველი ბოლოლივლია), „სტოკოვიჩი“, „საიმივიჩი“ (ორივე — „ტრენა ზეზუდა“, იუგოსლავია), „საბაუ“ („დინამო“, რუმინეთი), ვალდო („ბენფიკა“, ბრაზილია), პაპენი („მარსელი“, საფრანგეთი), რომარიო („გინდლპოვენი“, ბრაზილია). ნოემბრის მწვრთნელად მიჩნეულია ემეროპ ვენი (რუმინეთის ნაკრები).

უფას მარადონას ორი წლის წინ მისი უფროსი ძმის, დიეგოს პოპულარობას უწინასწარმეტყველებდნენ. რეალბა კი სხვაგვარი აღმოჩნდა. იტალიის „ასკოლიში“ გატარებული სეზონის საქმოდ უფერულად ჩაატარა და ესპანეთის „რალი ვალეკანოში“ გადავიდა. წელს, როგორც ჩანს, უმ-

ცროსი მარადონა პოპულარს თავის ხელწერას. ყოველ შემთხვევაში მარადონის „ატლეტიკოსთან“ ფრედ (4:4) ნათამაშე მატჩში იგი უღადავად საუკეთესო იყო. ორი გოლი მისი ზუსტი გადაცემებით გავიდა, ერთიც თვითონ გაიტანა და, რაც მთავარია, შესანიშნავი დრიბლინგით მოხიბლა მაყურებელი.

1986 წლის მსოფლიო ჩემპიონი ზორზე ვალდნო, ორი წელია გამოეშვიდობა ფეხბურთს და მარადონის „რეალს“ კლუბში დაიწყო მუშაობა. თან სპორტულ ქურალისტობას დაეწაფა. მიმდინარე იგი მხოლოდ საბუნების თამაშებში, ან ვეტერანთა ტურნირებში გამოვლიდა, მით უფრო მოულოდნელია მისი გადაწყვეტილება დაუბრუნდეს აქტიურ სპორტს. როგორც უცხოური სააგენტოები იუწყებიან, არგენტინელმა მწვრთნელმა პილარლოს დაქინებულ თხოვნის შემდეგ ვალდნომ განაახლა ვარჯიში და აქტიურად ემზადება 1990 წლისათვის.

ზარზან ბრაზილიის ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში შეყვანილი იყო ფორვარდი რაიმუნდინო. სამხრეთ ამერიკის პირველობაზე იგი არ ათამაშეს. განაწყენებული ფეხბურთელი ევროპაში ჩამოვიდა და ახლა „ვარეგამში“ (ბელგია) გამოვა.

ბელგის შარშანდელ პირველობაში თავი გამოიჩინა „ანდერლექტის“ ავსტრალიელმა თავდამსხმელმა კრნევიჩმა, რომელიც საბოლოოდ ქვეყნის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. წელს კრნევიჩი საფრანგეთის „მულუზში“ თამაშობს, სამაგიეროდ, მის კვალს დაადა მეორე ავსტრალიელი „ბრიუგეს“ მითამაშე ფარინა, რომელიც ჯერჯერობით ანაპერტა დავაპი.

მინიანავალბასის „ბორუსია“ წელს ძალიან ცუდ ფორმაშია. როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, ყველაფერი მწვრთნელს დაბრალდა. 27 წლის ვოლფ ვერნერს ახალი ადგილის ძებნა შესთავაზეს. 1963 წლიდან „ბორუსიას“ მხოლოდ 5 მწვრთნელი ჰყავდა: ვისიკაილერი (11 წელი), ლატეკი (4), პეინკეტი (7) და ვერნერი (4).

ზარზან ბელგიაში გააქვეყნა ნაკრების კანდიდატთა გაფართოებულ სია. ამ ფეხბურთელთაგან შეიქმნება გუნდი, რომელიც იტალიაში დღევანდელ ქვეყნის ღირსებას. აი კინ ჩაირიცხა კანდიდატთა რიცხვში: მეკარეები — ილგერი („კოლინი“), აუმაინი („ბაიერნი“), მინდერის მოთამაშეები — ბუტკა-

ლი, გაუდინო, ფრონტეკი (ყველა — „შტუტგარტი“), კოლერი, აუგენტალერი, რუტერი, დიორფერი, ტონი (ყველა — „ბაიერნი“), ლიტბარსკი, პასლენი (ორივე — „კოლინი“), რენპარდტი („ლევერკუზენი“), მიოლერი („დორტმუნდი“), ეკშტანი (ფრანკფურტი), კიოპკე („ნიურნბერგი“), მილი („დორტმუნდი“), რილი („ვერდერი“), ვულტე („კაიზერსლაუტერნი“), კალოფსი („ბორდო“, საფრანგეთი), ბრემე, მათეუსი, კონსმანი (ყველა — „ინტერი“, იტალია), ბერთოლი, ფილოერი (ორივე — „რომა“, იტალია).

ზარ-ისა და ვარ-ის შორის ურთიერთობათა ახალი ეტაპის დაწყების შემდეგ, გაიხარა „ბუნდესლიგის“ ინტერესი გერ-ის ნაკრების მოთამაშეებისადმი. ლევერკუზენის „ბაიერი“ ერთბაშად სამ ფეხბურთელს ეხატებდა. ესენია: ულფ კირსტენი, მათიას სამერი (ორივე — „დინამო“, დრუზდენი) და ანდრეას ტომი („დინამო“, ბერლინი). ნაკრების მეკარე რისტერი კი ოფენბახის „ვიკერსში“ მიიღეს.

ბარსელის „ოლიმპიკს“ ახალი დირიჟორი ჰყავს. ესაა „ნანტის“ ყოფილი კაპიტანი დიდიე დე-შამბი. იგი ოთხ წელს გაატარებს მარსელში და ამ ხნის განმავლობაში 20 მილიონ ფრანკს მიიღებს, ნაკრებში მისი პარტიზორი პატრიკ გარანდიც გამოეთხოვს თავის ძველ კლუბს. ახლა „სენტ-ეტენის“ ეს თავდასხმელი „ლანსში“ ითამაშებს. კიდევ ერთი სიახლე: 38 წლის მანფრე კალცი, რომელმაც ვერა და ვერ მოიპოვა ადგილი „ბორდოს“ ძირითად შემადგენლობაში, სეზონის ბოლომდე „მულუზს“ დაუთმებს.

სამხრეთ ამერიკის „სუპერთასი“, რომელშიც მონაწილეობდა „ბოკა ლიბერტადორესი“ ყველა მფლობელი, დასრულდა „ბოკა ხუნიორის“ გამარჯვებით. ფინალში ორი არგენტინელი კლუბი გავიდა: „ბოკა ხუნიორისი“ და „ინდეპენდენტი“. ორივე შეხვედრა ერთბაშად ანაგარიშით იმ დასრულდა. პენალტების სერიამ უპირატესობა „ბოკა ხუნიორსს“ მიანიჭა 3:3. შეგახსენებთ, რომ ეს „სუპერთასის“ მეორე გათამაშება იყო. შარშან პრიზს ასევე არგენტინელი კლუბი, ბუნფოს-აირისის „რენსინგი“ დაუფლდა.

(საპ. მწვრთნელი)

საპარტიაო კომპოზიცია

პიუზისტიკის


ნელი

ჩვენი რუბრიკის წინა გამოშვებაში დაბეჭდილმა მასალამ, რომელიც სსრკ XIII გუნდურ პირველობაზე საქართველოს საკადრაკო კომპოზიტორთა გამოსვლის გზებზე, მკითხველთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ამასთან, გარკვეულ ნაწილს სურს მოვუთხოვოთ, თუ როგორ იასპარეზეს ეტიუდისტებმა, რომელთა სპორტულ-შემოქმედებითი პოტენციალი საქვეყნოდ არის ცნობილი. მართლაც, ამ კანონის წარმოადგენლობა 25,1 ჩასათვლელი ქულით (ჩათვლას იძლეოდა მხოლოდ ორი საუკეთესო ნაწარმოები) მეორე ადგილი დაიკავეს თავის დაფაზე რსფსრ გუნდის (25,6 ქულა) შემდეგ და ტრადიციისამებრ საგრანდო მწვლილი შეიტანეს ზესპუბლიკის გუნდის საერთო წარმატებაში.

შეგნიშნავთ, რომ ლენინგრადელი მსაჯის ლ. კაცნელსონის მიერ შემოთავაზებული თემა კონკრეტული იყო მასალის მხრივ და მუდმივად თავისუფალი შინაარსობრივად: ამტკიცებს ფინალურ სტადიაში ორივე მხრიდან წარმოდგენილი უნდა იყოს ეტიუდები და პაიკები. ჩვენმა ეტიუდისტებმა საერთოდ შეკრებაზე და მოსამზადებელ პერიოდში წარმატებით დაძლიეს დაეკლბა. ასე რომ, პირველობაზე გასაგზავნი ეტიუდები საკმაოდ ღარივდა. გუნდმა სამი ნაწარმოები შეარჩია, რომელთაგან თითოეული მათგანი განსვავებული სტილისა იყო. ქვემოთ მოგვყავს ის ორი „დედღეობრებული“ ეტიუდი, რომლებმაც ჩათვლა მისცეს საქართველოს ნაყრებს.

დ. გურამიძე, 1989

III ადგილი



შოგება


ლიაგრაძეზე ეტიუდის ენდშპილი და ძალთა აბსოლუტური თანასწორობაა. ცხადია, რომ თეთრი მეფე უნდა გააქტიურდეს, ხოლო მისი შავი მეტოქის მოძრაობა შეიზღუდოს. მაგრამ თუ 1. ე2? ეხ8 2. ეე7 მფგ2 3. მფც5 მფ3 4. მფდ5 ხ5 5. მფე5 მფე3! 6. მფნ6+ მფდ3, შავები ყაიშს აღწევენ, რადგან მათი პაიკი სწრაფად გამსვლელი ხდება. საინტერესოა მეორე მცდარი კვლიც: 1. ე2! ეხ8 2. ეე7 მფგ1! 3. მფც5 ხ5 4. მფდ5 ხ4 5. მფენ ხ3 (შავებს რომ 2. ...მფგ2 ეთამაშათ ახლა წააგებდნენ 6. ეხ7 სვლის შედეგ) 6. მფნ6 ხ2 7. ეხ7 ე:ე7! ყაიში.

ეტიუდს ხსნის ერთი შეხედვით გაუგებარი, სინამდვილეში კი მეტად მახვილგონივრული სვლა 1. ედ2!! ეხ8 2. ედ7 მფგ2 3. მფენ მფ3 4. მფდ5 მფ4 5. მფენ ხ3 6. ეე7+ მფხ6 7. ეე1 (აქ უნდა შევნიშნოთ, რომ 1. ეა7? ეხ8 2. ე:ხ7 და ა. შ. ვარიანტის შემთხვევაში ახლა შავები ითამაშებდნენ 7. ...ეა8

და ყაიშს მიალწევდნენ. ნათელია ავტორის ჩანაფიქრი — „გადარჩენილი“ შავი პაიკი საკუთარი ეტიუდის შემზღვეველი ხდება). 7. ...ეე8 8. ეე1! ეფ8 9. მფე7 ეფ8 10. მფნ7 ე:ე7+ 11. მფნ6 და თეთრები იგებენ საოცარ ენდშპილს. ამ შენიღბულ ორთაბრძოლაზე აგებულმა ორიგინალურმა ეტიუდმა 13,1 ქულა დაიმსახურა. თუმცა მსაჯის მანიპულირება მეათედი პარალებით ექვს იწვევს. სამსაჯო პრაქტიკაში ეს „მათემატიკური ეშპაქობა“ ქულების სუბიექტური დაჯამების მიზნით არის შემოტანილი.

3. კალანდაძე, 1989

V ადგილი



შოგება

ნაადრევეა 1. ეხ8? ე:ე2+ 2. მფგ1 ე:ე2 3. ე:ა8 ე:ე7 და შავები იგებენ. სწორია 1. ე3+! მფგ5! (მეფის გადასვლა სხვა ვერტიკალზე არ შეიძლება) 2. ეხ8 ეე6! 3. ე:ა8 ე:ე2+ 4. მფხ3! (შავ მეფეს გასაქანი არ უნდა ჰქონდეს) ე:ე7 5. ე4+! მფგნ (სხვ ერთადერთი სვლა, რომელიც თეთრ ეტიუდს კუთხიდან

ხელმძღვანელი ვაჟა ნიქიძე

ქიშით გამოსვლის საშუალებას უსპობს) 6. ე5+ მფგ5 7. ე6! (პაიკი ხელშეუხებელია) ე7 8. ეე8 ე:ა7 9. ე:ე7+ ე:ე7 10. ეგ მფხნ 11. მფე! და იგებენ.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ წინა ეტიუდთან შედარებით, სადაც ბევრი რთული „წყაღჭემა“ დინებებია, აქ თამაშს უფრო ანაკრა და გარეგნული ეფექტებით დამუხტული ხასიათი აქვს. ამასთან, ამ თამაშის დროს ავტორმა ორი რომანტიკული თემაც განახორციელა: „ექსტრემალური“ („სულ ზევით“ — პაიკის მარში საწყისი ხაზიდან უკანასკნელ მერვე პორიზონტალზე, რომელიც ფიგურის გაყვანით მთავრდება) და „ფენიქსი“ (საეტიუდო ბრძოლაში მოკლული ფიგურის მეორედ „გაცოცხლება“). ეს ნამუშევარი 12 ქულით არის შეფასებული.

ჩვენი რეზიუმე: პირველობის მსაჯის მიერ „დაკვეთილი“ ორივე ნაწარმოები მახვილგონივრულად და ოსტატურად არის შედგენილი. თანამედროვეობის გამოჩენილი საკადრაკო კომპოზიტორების დავით გურგენიძის და ველიმირ კლანდის ეს ქანძირები უდავოდ დაამსვენებენ „ეტიუდების ეტიუდების“ მსოფლიო კოლექციას.

ამოსხნა

„ლელოს“ 26 ნოემბრის ნომერი დაიბეჭდილი ი. აკობიას და ნ. ფანჯაიძის ეტიუდის (მფე7, ლ11, მდ1, მდ7, (4) — მფა5, ლა4, მხ4 (3). ყაიში) ამოსხნა: 1. მხ2 მენ+ 2. მფდ6 ლხ4+ 3. მფ:ენ ლ:ხ2 4. ლე1+ ლხ4 5. ლე5+ მფა4 6. მენ+ მფა3 7. ლა1X ან 4. ...მფა4 5. მენ+ მფა3 6. ლა5X. მისი სწორი პასუხი ვერც ერთმა ამომხსნელმა ვერ გამოგზავნა!

ბერ-მერსედესმა. ამრიგად, 34 წლის შემდეგ, „ვერცხლისფერი ისრები“ (ასე უწოდებენ „მერსედესს“) ტრიუმფით დაუბრუნდნენ მსოფლიოს.

ბელგიაში, „სპას“ ტრასაზე, გამართა ჩემპიონატის ბოლსწინა ეტაბი. გამარჯვება კვლავ „საუბერ-მერსედესმა“ იხეიმა. ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა მაურო ბალი — კენი ეჩისონის დუეტმა. ბოლო ეტაბი გამართა მექსიკაში, „ერმანოს როდრიგესის“ ტრასაზე. პირველმა კვლავ ჟან-ლუი შლესერი და იოჰენ მასი იყვნენ და ამ გამარჯვებით ბრწყინვალედ დაასრულეს წლევიანდელი სეზონი.

მართალია, „იაგუარი“ ამჟერად დამარცხდა, მაგრამ გუნდში მაინც არის გამარჯვებული. პოლანდიელი იან ლამერსი ამერიკის ჩემპიონი გახდა. მასთან ერთად ასპარეზობდა ჯეკ ბრეგემი-უმცროსი.

და ბოლოს, ცოტა რამ თვით ჩემპიონზე. ჟან-ლუი შლესერი დაიბადა 1952 წლის 12 სექტემბერს საფრანგეთის ქალაქ ნანსში. იგი საფრანგეთის ჩემპიონია „ფორმულა 3“ კლასში (1978 წელი) და ამავე ქვეყნის ორგანიზაციის გამარჯვებული სერიული ავტომობილებით რბოლაში (1984-1985 წლები), გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და მსოფლიო ვიცე-ჩემპიონია „პროტოტიპებში“ (1988 წელი) და მსოფლიოს ჩემპიონი ამავე კლასში (1989 წელი). ჟან-ლუი შლესერმა შარშან „ფორმულა 1“ კლასშიც იასპარეზა, შეცვალა ნაიჯელ მენსელი ორ ეტაბში.

ცნობილი გახდა, რომ „პორშე“ და „მერსედესი“ უბრუნდებიან „ფორმულა 1“ კლასში ასპარეზობას. პირველი 1991 წელს, ხოლო მეორე — 1992 წელს. „პორშე“ ძრავებით მოამარჯვებს ფირმებს, კერძოდ „ინფისს“, ხოლო „მერსედესი“ ისპარეზებს როგორც ცალკე გუნდი. სავარაუდო პილოტები არიან ალენ პრასტი და ზერპარდ ბერგერი, კონსტრუქტორი — ჟონ ბარნარდი.

დავით ხაბინიძე.

1955 წელი. „ლემანი“. ღამის 10 საათი. „მერსედესი“, რომელსაც ფრანგი პილოტი პიერ ლევე მართავდა, კატასტროფაში მოჰყვა. სპორტსმენი ადგილზე გარდაიცვალა. ავტომობილის ნაშთსებრევი ტრიბუნებზე ავარდა და კიდევ 86 ადამიანის სიცოცხლე შეიწვია. მიუხედავად ამისა, რბოლა მაინც გაგრძელდა.

ამ ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ დასავლეთგერმანულმა ფორმულა უარი განაცხადა ჩემპიონატებში მონაწილეობაზე. და აი, შარშან, „მერსედესი“ კვლავ ჩაერთო „ფორმულა-3“ კლასის ასპარეზობაში. ეს სეზონი დასავლეთგერმანული ფორმისა და ინგლისური „იგუარის“ ორთაბრძოლით აღინიშნა. ამ პაექრობაში „იაგუარმა“ იმარჯვა.

წელს „მერსედესის“ შვეიცარიელმა მენეჯერმა — პეტერ საუბერმა პილოტთა ბრწყინვალე „ანსამბლი“ შექმნა და შედეგმატ არ დააყოვნა.

წლევიანდელი ჩემპიონატი დაიწყო იაპონიის „გრან პრის“ გათამაშებით. „სუბუკას“ ტრასაზე „საუბერ-მერსედესმა“ პირველი გამარჯვება იხეიმა. ჟან-ლუი შლესერმა (საფრანგეთი) და მაურო ბალიმ (იტალია) პირველი ადგილი დაიკავეს, მეორე — კენი ეჩისონმა (ირლანდია). ირლანდიელმა პილოტმა მთელი დისტანცია (480 კმ) მარტომ დაფარა და გულშემოტკივართა ტაში დაიმსახურა. „მერსედესის“ კვარტეტი სრული არ იყო, რადგან იოჰენ მასი (გფრ) ავადმყოფობის გამო რბოლაში მონაწილეობა ვერ მიიღო.

„პორშეს“ პილოტებმა ბობ უოლექმა (საფრანგეთი) და ფრანკ იელინსკიმ (გფრ) მესამე ადგილი დაიკავეს და 1 წუთით და 48 წამით ჩამორჩნენ კენი ეჩისონს.

„იაგუარის“ პილოტებმა ვერაფრით გამოიჩინეს თავი. პოლანდიელ იან ლამერსს და ფრანკ პატრიკ ტამბეს შეჯიბრების დამთავრებად 2 წრით ადრე გაუჩერდათ მანქანა.

მაღე იოჰენ მასი დაუბრუნდა ასპარეზობას. პეტერ საუბერმა წყვილები შეცვალა და, სპეციალი-

სტა აზრით, „მერსედესი“ ამით უფრო გაძლიერდა. მეორე ეტაპზე უკვე ჟან-ლუი შლესერთან ერთად იოჰენ მასი ასპარეზობდა, ხოლო კენი ეჩისონთან — მაურო ბალი.

შემდეგი ეტაპი ჩატარდა საფრანგეთში, „დიოონის“ ტრასაზე. აქაც 480 კმ-იანი დისტანცია იყო გასავლელი. დაძაბულ ბრძოლაში იმარჯვა „ჯოესთ-პორშე 962“-ის დუეტმა, ბობ უოლექმა და ფრანკ იელინსკიმ (საფრანგეთი, გფრ).

ძალზე საინტერესოდ წარიმართა „ლემანის“ 24-საათიანი რბოლა.

შე აფეთქდა. რამდენიმე წამში პობსის ავტომობილისგან აღარაფერი დარჩა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მოასპარეზე 55 ეკიპაიდან ფინიშთან მხოლოდ 19 მივიდა.

მართალულ რბოლაში იმარჯვა „საუბერ-მერსედესის“ ტრიომ იოჰენ მასის (გფრ), მანუელ რეუტერის (გფრ) და სტენლი დიკენსის (შვეიცია) შემადგენლობით.

ესპანეთში, „ხარამას“ ტრასაზე, კვლავ წარმატებით იასპარეზა „მერსედესმა“. 480 კმ პირველმა და-

„მერსედესის“ დაბრუნება

როგორც იცით, ეს ასპარეზობა ტრადიციულად, იწყება შაბათს, 4 საათზე და მთავრდება კვირას ამავე დროს. გათამაშდა „ლემანის“ 57-ე „გრან პრი“. საკვალიფიკაციო რბოლაში, ისევე როგორც წინა ორ ეტაპში, კვლავ „საუბერ-მერსედესის“ პილოტებმა იმარჯვეს. ჟან ლუი შლესერმა, მსოფლიოს უსწრაფეს ტრასაზე, რომლის სიგრძეა 13,535 კმ, განავითარა 249,826 კმ/სთ სიჩქარე.

„იაგუარის“ პილოტებმა: იან ლამერსმა და ირლანდიელმა დერეკ დელიმ სტარტზე მეორე რიგი დაიკავეს, ხოლო „პორშეს“ პილოტებმა — მესამე.


შლესერი შეყოვნდა და დაწინაურდა „ლემანის“ ორგზის გამარჯვებული ჰანს-იოაჰიმ მტუკი (გფრ, „პორშე“). თითქმის 100 წრის განმავლობაში ლიდერობდა მტუკისა და ბობ უოლექის დუეტი, რბოლას ბევრი პილოტი გამოეთიშა. ინგლისელი დევიდ პობსი ძლიერ გადაურჩა სიკვდილს. მის „პორშეს“ უცებ ცეცხლი მოედო. პილოტმა ავტომობილი ტრასის მიღმა, გაზონზე გადაიყვანა და გადმოვიდა თუ არა კაბინიდან, „პორ-

ფარა შლესერ-მასის დუეტმა. მათ 45 წრე გაიარეს 3 საათში და 26 წუთსა და 13,882 წამში. „საუბერ-მერსედესმა“ განავითარა საშუალო სიჩქარე — 139,719 კმ/სთ.

ინგლისში, „ბრენდს კეტჩის“ ტრასაზე იმარჯვა ბალი-ეჩისონის დუეტმა.

„ნიუბურგინგზე“ პირველი ადგილი დაიკავა კვლავ შლესერ-მასის ეკიპაჟმა და პირად ჩათვალა მისი დაწინაურდა ფრანგი პილოტი.

ინგლისის „დონინგტონ პარკში“, საინტერესო ბრძოლა მოთავსა „საუბერ-მერსედესის“ პილოტებმა, ჟან-ლუი შლესერმა და იოჰენ მასმა. ეს დუეტის მესამე გამარჯვება იყო წლევიანდელ სეზონში. ამ ეტაპის შემდეგ, პირველად თავისი სპორტული კარიერის მანძილზე, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული „პროტოტიპებით“ რბოლაში მოიპოვა 37 წლის ფრანგმა პილოტმა ჟან-ლუი შლესერმა. სხვათა შორის, იგი „ფორმულა 1“ კლასში მონაწილე ცნობილი სპორტსმენის, ჯო შლესერის ძმისშვილია (ჯო დაიღუპა 1968 წელს ქალაქ რუანში რბოლების დროს). კონსტრუქტორთა პირველობა კი მოიგო „საუ-



კალათბურთულ ვაჟა ევროპის ქვეყნების თანხის მფლობელთა თანხის გათამაშებაში (მეოთხედფინალური ჭაგუფები) ასეთი მსგავსარობაა:

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'იქრონი' (იტალია) 2 2 0 4, 'მაკიბი' (ისრაელი) 2 1 1 2, etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'რეალი' (მადრიდი) 2 2 0 4, 'პარტიზანი' (იუგო) 2 1 1 2, etc.

კორაჩის თასის მეოთხედფინალური ჭაგუფებშიც 2-2 მატჩი გაიმართა:

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'ფონოლი' (იტალია) 2 2 0 4, 'ცხკა' (სსრკ) 2 1 1 3, etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'ეფეხი' (თურქეთი) 2 2 0 4, 'პანიონისი' (ხაბერძ.) 2 1 1 2, etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'ეფეხი' (თურქეთი) 2 2 0 4, 'პანიონისი' (ხაბერძ.) 2 1 1 2, etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'სკაპოლინი' (იტალია) 2 2 0 4, 'ზუვენტული' (ესპან.) 2 2 0 4, etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'სკაპოლინი' (იტალია) 2 2 0 4, 'ზუვენტული' (ესპან.) 2 2 0 4, etc.

ინფორმაცია

აზრიკის ჩემპიონატი

აზრიკის საფეხბურთო კონფედერაციის საორგანიზაციო კომიტეტმა თავის გენერალურ ასამბლეაზე დაადგინა კონტინენტის ჩემპიონატი ჩატაროს 1990 წლის მარტში.

ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებენ კამერუნის, ნიგერიის, ეგვიპტის, სენეგალის, ზამბიის, კენიის, კონტ-დეუარისა და ალჟირის გუნდები. ჩემპიონატს უმასპინძლებს ალჟირი.

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.

საპარტიალო სახელმწიფო ფინიქსი პულბარის ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის დეკანატი

სტუდენტების საყურადღებოდ აცხადებს, რომ ზამთრის საგამოცდო სესიების ტარდება შემდეგი გრაფიკით: I-II კურსები — 4-18 იანვარი, III-IV-V კურსები — 18 იანვრიდან 6 თებერვლის ჩათვლით.

სტუდენტები ვალდებული არიან ინსტიტუტში გამოცხადებისას წარმოადგინონ შრომის წიგნაკის ამონაწერი პროფილით მუშაობის შესახებ.

ჩვენი მისამართი: წერილებსთვის — 250098, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშმენტისთვის — თბილისი, „ლელო“.

ჩვენი მისამართი: წერილებს განყოფილება — 92-97-55, სამფარეო — 92-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 92-97-58, „მერსედი“ — 92-97-28, „მარტე“ — 92-97-27.

ჩვენი მისამართი: 13360 05 დეპტის 66435

საქართველოს კმ ც.ს.ს გამომცემლობის შრომის წიგნაკის დროის ინფორმაცია: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უფ 10578